




2022 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

შპს კოლორ+

ს/კ 200277887

სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
განმარტებითი შენიშვნები	5
ზოგადი ინფორმაცია	5
მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა ა4)	12
არამატერიალური აქტივები (შენიშვნა ა3)	12
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა ა1)	13
სასაქონლო მატერიალური მარაგები (შენიშვნა ა2)	13
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (შენიშვნა ა9)	13
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (შენიშვნა ა8)	13
ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები (შენიშვნა ა5)	14
ამონაგები (შენიშვნა ა6)	14
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (შენიშვნა ა6)	14
რისკების მართვა	15
შემდგომი მოვლენები	16
ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	16



**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრისთვის**

აქტივები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8235	13345	ა1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10568	52851	ა9
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	2920	1238	ა9
მარაგები	338402	327228	ა2
მზა პროდუქცია	0	0	
სხვა	338402	327228	
სხვა არამატერიალური აქტივები	13948	18240	ა3
ძირითადი საშუალებები	19720	4319	ა4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	472174	0	
სულ აქტივები	865967	417221	
ვალდებულებები	31/12/2022	31/12/2021	
საიჯარო ვალდებულება	0	0	
სავაჭრო ვალდებულებები	308410	208333	ა8
ანარიცხები	0	0	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	4311	ა8
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	442457	52719	ა5
მიღებული გრანტები	0	0	
სხვა ვალდებულებები	93	1441	ა8
სულ ვალდებულებები	750960	266804	
საკუთარი კაპიტალი	31/12/2022	31/12/2021	
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	115007	150417	
გადაფასების რეზერვი	0	0	
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	
სულ საკუთარი კაპიტალი	115007	150417	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	865967	417221	


შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დაშნიანი



**2022 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021	შენიშვნა
ნეტო ამონაგები	1955376	2076067	ა6
საქონლის გაყიდვიდან	1955376	2076067	
სხვა	0	0	
გაყიდვების თვითღირებულება	-1458833	-1525953	ა7
საერთო მოგება	496543	550114	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-361689	-278466	
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-9634	-9182	
საპროცენტო შემოსავალი	0	0	
საპროცენტო ხარჯი	-15999	-4053	
იჯარის ხარჯი	-35060	-61849	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-30315	-58965	
სულ საოპერაციო ხარჯები	-452697	-412515	
საოპერაციო მოგება	43846	137599	
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	7431	5763	
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	51277	143362	
მოგების გადასახადის ხარჯი	-13003	-25841	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	38274	117521	
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	38274	117521	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	150417	179706	
ახალი აქციების გამოშვება	0	0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-73684	-118210	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	-28600	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	115007	150417	

შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დამნიანი



2022 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის
ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	154688	155264
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი	-492917	42848
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი	333119	-207211
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-5110	-9099
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	13345	22444
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8235	13345

შპს კოლორ+
დირექტორი: უჩა დაშნიანი



განმარტებითი შენიშვნები

ზოგადი ინფორმაცია

შპს "კოლორ+" (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომრით 200277887 დაფუძნდა საქართველოში, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2009 წლის 10 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი II მ/რ, კორ. 19ა.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა რკინა-კაველით, საღებავებითა და მინით სპეციალიზებულ მაღაზიებში; საღებავების, ლაქებისა და ანალოგიური საღებავი ნივთიერებების, ტიპოგრაფიული საღებავებისა და მასტიკების წარმოება (კერძოდ ავტომობილების საღებავების და დამხმარე საშუალებების გაყიდვა). აგრეთვე საცხოვრებელი შენობების ყიდვა-გაყიდვა/გარემონტება.

კომპანიის 100%-ის მეწილე არის უზა დაშნიანი (პ/ნ 01001001354), რომელიც, ამავედროულად, არის კომპანიის დირექტორი.

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს კოლორ +
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	200277887
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	10/12/2009
მარეგისტრირებული ორგანო:	თბილისის საგადასახადო ინსპექცია
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, მუხიანი II მ/რ, კორ. 19ა



მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”).

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დამოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს, რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს სტანდარტების თანახმად.

კომპანია მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ ოპერაციების შინაარსს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი დაიწყო 2022 წლის 1 იანვარს და დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.



პროდუქციის წარმოებასა და რეალიზაციაზე გაწეული დანახარჯების აღრიცხვა

კომპანია პროდუქციას არ აწარმოებს, მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა და შესაბამისად, გასაყიდ საქონელს აღრიცხავს ბასს2-ის მოთხოვნების შესაბამისად.

მარაგის შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგის თვითღირებულების ჩამოწერა ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ლოგიკურად გამომდინარეობს ბასს2-ის მოთხოვნიდან, რომ არ შეიძლება აქტივების აღრიცხვა იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღება შესაძლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს მის შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ხარჯებად აღიარება. როცა მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც აღიარდება შესაბამისი შემოსავლები. გამოიყენებს საშუალო შეწონილი თავითღირებულებით რპო-ს ხარჯებში ჩამოწერის მეთოდი. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს. მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა აღიარდება იმ მარაგის თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

საქონლის (მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვა. დარიცხული დღგ-ს აღრიცხვა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;

ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;



გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;

დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადის ჯამი. მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს, რომელთა ვადაც 3 თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შეძენის, ტრანსპორტირების და დასაწყობების ხარჯებს.

შრომის ანაზღაურების აღრიცხვა

აღრიცხება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი N19 – „დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები“-ს მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება და შეფასება სტანდარტის მე-11 პუნქტის მიხედვით. დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა აღიარდება, როგორც ხარჯი, ვინაიდან, განხორციელებული განაცემების მიმართ არცერთი სტანდარტი არ მოითხოვს, რომ



გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში (მაგ. ბასს 2 – „მარაგები“, ან ბასს 16 – „ძირითადი საშუალებები“).

იჯარის აღრიცხვა

იჯარა ფინანსურად ითვლება მაშინ, როდესაც იჯარის პირობებით მფლობელობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა სარგებელი და რისკი გადაეცემა მოიჯარეს. ყველა სხვა სახის იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება ბასს16-ის მოთხოვნათა შესაბამისად. კერძოდ, გაწეული მატერიალური დანახარჯი აღიარდება აქტივად თუ:

ა) მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს;

ბ) საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, ფასდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების კომპონენტებისადმი ბასს16-ის მოთხოვნა საწარმოს დაცული აქვს სრულყოფილად. კერძოდ:

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდამოკლებისა და შეღავათების გათვალისწინებით;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;

გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან,



შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5-30 წელი
- მოწყობილობა-დანადგარები 3-10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი
- კომპიუტერები და სხვა საოფისე აღჭურვილობა 3-10 წელი
- ავეჯი 5-18 წელი
- სხვა ძირითადი საშუალებები 3-10 წელი

ცვეთა

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი - თითოეული ძირითადი საშუალებისათვის განისაზღვრება ცვეთადი ღირებულება, როგორც სხვაობა აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის. ხშირ შემთხვევებში ნარჩენი ღირებულებები არაარსებითია და ამდენად ნულს არის გატოლებული, ცვეთადი ღირებულება თვითღირებულების ტოლია. განსაზღვრულია ასევე ცვეთის პერიოდი. ცვეთის მეთოდად არჩეულია წრფივი მეთოდი.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

გაუფასურება იმის დასადგენად, გაუფასურდა თუ არა ძირითადი საშუალებების ერთეული, საწარმო იყენებს ბასს 16-ს.

აღიარების შეწყვეტა ხდება ძირითადი საშუალების გაყიდვის შემთხვევაში; ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.



არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალური აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში.

არამატერიალური აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგია:

- არამატერიალური აქტივები 3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალად კლასიფიცირდება დამფუძნებლები შენატანები კომპანიის კაპიტალში. როდესაც საწესდებო კაპიტალი იზრდება არაფულადი შენატანის სახით, აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი დეკლარირების მომენტში. როგორც წესი, დივიდენდები ვალდებულებებად აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც დამტკიცდება მათი განაწილება. შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.



თანხების დამრგვალება

ამ ანგარიშში თანხები დამრგვალებულია ვალუტის ერთეულებამდე.

ძირითადი საშუალებები (შენიშვნა ა4)

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებამ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 19720 ლარი.

ბალანსი 01 იანვარი 2022	4,319
დამატება	20,744
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	25,063
ცვეთა 01 იანვარი 2022	
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	5,343
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	5,343
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2022	19,720

არამატერიალური აქტივები (შენიშვნა ა3)

არამატერიალური აქტივები შედგება პროგრამული უზრუნველყოფისგან.

ამორტიზაციის ხარჯმა 2022 წლის განმავლობაში შეადგინა 13948 ლარი.

ბალანსი 01 იანვარი 2022	18,240
დამატება	0
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	18,240
ცვეთა 01 იანვარი 2022	
წლის განმავლობაში დარიცხული ცვეთა	4,292
გასვლა	-
ჩანოწერა	-
ბალანსი 31 დეკემბერი 2022	4,292
ნარჩენი ღირებულება 31 დეკემბერი 2022	13,948



ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები (შენიშვნა ა1)

თანხა მოცემულია ქართულ ლარში:

ფული და ფულის ექვივალენტები	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	663	1,225
ნაღდი ფული	7,572	12,119
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	8,235	13,345

სასაქონლო მატერიალური მარაგები (შენიშვნა ა2)

კომპანიას სასაქონლო მატერიალური ფასეულობის სახით გააჩნია:

მარაგები	31.12.2022	31.12.2021
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	338,402	327,228
სულ	338,402	327,228

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები (შენიშვნა ა9)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10,568	52,851
აგანსებად გაცემული ფულადი სახსრები	2,920	1,238
სხვა	0	0
სულ	13,488	54,089

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები (შენიშვნა ა8)

დასახელება	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	308,410	208,333
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	4,311
სხვა ვალდებულებები	93	1,441
სულ	308,503	214,085



ბიზნეს სესხები და ოვერდრაფტები (შენიშვნა ა5)

ხელშეკრულების მიხედვით სესხის ძირის და პროცენტის გადახდა წარმოებს ყოველთვიურად.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	442,457	52,719
სულ გრძელვადიანი სესხი	442,457	52,719

ამონაგები (შენიშვნა ა6)

დასახელება	31.12.2022
მზა პროდუქციის რეალიზაცია	1,955,376
ნედლეულის რეალიზაცია	0
სულ	1,955,376

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება (შენიშვნა ა6)

დასახელება	31.12.2022
მზა პროდუქციის თვითღირებულება	1,458,833
ნედლეულის თვითღირებულება	0
სულ	1,458,833



რისკების მართვა

რისკის მართვის პოლიტიკა

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საბაზრო რისკს
- საფასო რისკს
- საოპერაციო რისკს


დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის იმის რისკი, რომ კომპანიის მოგება ან კაპიტალი, ან მისი უნარი, მიაღწიოს ბიზნეს ამოცანებს, გაუარესდება საბაზრო განაკვეთების, ფასების ცვლილების ან მერყეობის შედეგად. საბაზრო რისკი მოიცავს მარჟის განაკვეთის რისკს, სავალუტო რისკს და ფასდადებასთან დაკავშირებულ სხვა რისკებს, რომელსაც ექვემდებარება კომპანია. კომპანიის ხელმძღვანელობა აწარმოებს კომპანიის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგს, აფასებს მის დამოკიდებულებას მარჟის ცვალებადობის მიმართ და მის ზეგავლენას კომპანიის მომგებიანობაზე.

საფასო რისკი

საფასო რისკი არის საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შემოსავლების მერყეობის რისკი, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ცვალებადობა გამოწვეულია ინდივიდუალური ფაქტორებით, თუ ბაზარზე არსებული ფაქტორებით. კომპანიაზე გავლენას ახდენს მისი საქონლის საფასო რისკი, რომელიც ექვემდებარება ძირითად და სპეციფიურ საბაზრო რყევებს.



საფასო რისკს პოტენციური დანაკარგების პერიოდული შეფასებით მართავს. აღნიშნული დანაკარგები შესაძლებელია გამოიწვიოს საბაზრო პირობების გაუარესებამ და დანაკარგების შესაჩერებელი შესაბამისი ლიმიტების, მარჟებისა და დეგენამ და შენარჩუნებამ.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს რისკს, რომელიც წარმოიშვება სისტემის მოშლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობისა და გარე მოვლენების შედეგად. კონტროლის არარსებობის შემთხვევაში საოპერაციო რისკმა შეიძლება გამოიწვიოს რეპუტაციის გაუარესება, იურიდიული სირთულეები, ფინანსური ზარალი და საქმიანობის შეჩერება. კომპანია ვერ შეამცირებს ყველა საოპერაციო რისკს, მაგრამ უნდა ეცადოს ამ რისკების მართვას კონტროლის გარემოსა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და მათზე ადეკვატური რეაგირების საშუალებით. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების გადანაწილებას, წვდომის, ავტორიზაციისა და შედარების პროცედურებს, შიდა და გარე აუდიტს, პერსონალის განათლებასა და პროცესების შეფასებას.

შემდგომი მოვლენები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2023 წლის 31 მარტს.

შპს კოლორ+

დირექტორი: უჩა დაშნიანი